საქართველოს რესპუბლიკა





პარასკევი, 24 მარტი, 2006 წელი

№59 (5397)

არჩილ კიკნაძე

ქართულმა მეცნიერებამ დიდი დანაკლისი განიცადა: 73 წლის ასაკში გარდაიცვალა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ქვეყნის საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი **არჩილ გრიგოლის ძე კიკნაძე**.

არჩილ კიკნაძემ 1956 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი ინჟინერ-გეოლოგის სპეციალობით. 1961-1965 წლებში მუშაობდა წყლის რესურსების სახელმწიფო კომიტეტში. 1978 წლიდან ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეა. 1980-1992 წწ. სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქზღვა ნაპირდაცვის“ გენერალური დირექტორი და „სსგ ზღვის მორფოდინამიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის“ დირექტორია. 1972-1981 წწ. მუშაობდა ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტში ზღვის ნაპირების მორფოდინამიკის ლაბორატორიის გამგედ, 1973 წლიდან ამავე ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, 2002 წლიდან კი ზღვის სანაპირო ზონის შემსწავლელი ჯგუფის ხელმძღვანელია. ბოლო პერიოდში იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ გეომორფოლოგია-გეოეკოლოგიის კათედრის პროფესორი და ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის ზღვის ნაპირების მორფოდინამიკის შემსწავლელი ჯგუფის ხელმძღვანელი.

მისი ხელმძღვანელობით და უშუალო მონაწილეობით საქართველოში შეიქმნა და განვითარდა საზღვაო სანაპიროს რელიეფის მორფოდინამიკის სამეცნიერო მიმართულება. არის 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა ზღვის სანაპირო დარგის შემსწავლელი სკოლა, რომელშიც აღიზარდა ზღვის ნაპირების შემსწავლელ ქართველ მეცნიერთა პლეადა. ხაზგასასმე-

ლია მისი მართლაც ფანატიკური თავდადება ამ საქმის მიმართ. მისი სამეცნიერო საქმიანობის მთავარი დამსახურებაა ის, რომ მსოფლიოში პირველად, ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის ლაბორატორიის ბაზაზე შეიქმნა სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქზღვა-ნაპირდაცვა“, რომელმაც აღიარება მოიპოვა მსოფლიოში ამ დარგში მოღვაწე სპეციალისტთა შორის. არჩილ კიკნაძემ პროფესორ ვსევოლოდ ზენკოვიჩთან ერთად შექმნა ნაპირდაცვისა და აღდგენის მეთოდი, რაც საფუძვლად დაედო პრაქტიკული სამუშაოების წარმართვას საქართველოსა და სხვა ქვეყნებში – ბულგარეთში, კუბაში, თურქეთში, ბალტიისპირეთში.

მისი მოღვაწეობა დაფასებულია ორდენებითა და მედლებით.

პროფესორი არჩილ კიკნაძე იყო თავმდაბალი, ყურადღებიანი, მოსიყვარულე ადამიანი. მისი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი ახლობლების, მეგობრების, მრავალრიცხოვანი მოსწავლეებისა და კოლეგების გულებში.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი;
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი;
ალ. ჯანელიძის სახელობის გეოლოგიური ინსტიტუტი;
ალ. ჯავახიშვილის სახელობის გეოგრაფიული საზოგადოება.